# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი.

ფასი:

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვირგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 111

წელიწადი მეორე

1913

კვირა, 28 ივლისი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.


ეროვნული ბიბლიოთეკა


...ეპოლამპეულის, ჭურჭ ლეულო...ს, ავეჯეულობის და შპალერის ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

...ჯობა ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურები და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ია...ზე საფენი „ლინელოუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთები, აუარებელი ასარჩევი ნიმუშები შპალერის თო... 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშა.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

# იმერეთი

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით. . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . | 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.



ქუთაისი·

პაიებზე დამყარებული ამხანაგობა

კირაკოზოვი და ზ. გ. ოგანოვი.

გაზაფხულისა

და ზაფხულის სეზონი

ტრიკო, კასტორი, დიაგონალი, ჩეჩუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ქივრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო", პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.



იყიდება მხოლოდ ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, თფილისში·

# კანონი

გლეხთა სოფლელთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა ნადელის დახსნითა და შეძენით საკუთრებათ, მთავრობის დახმარებით, თფილისის, ქუთაისის, ერევნის, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში.

# ВРЕМЕННАЯ

инструкція должностнымъ лицамъ и учрежденіямъ по приведенію въ исполненіе Закона 20 декабря 1912 г.



ქ. შ. წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილება აუწყებს საზოგადოებას, რომ დღეს ქუთაისის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი

# ალექსანდრე ხახანაშვილის

სულის მოსახსენებლათ.



# ქალთა პროგიმნაზია

მარიამ კვინიხიძის ასულისა

გადავიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ობორინის შესახვევის კუთხეში. გამრეკელის შენობაში.

მოწაფეების მიღება დაიწყება ყველა კლასში 15 აგვისტოდან.



# იყიდება

ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.



# აქიმი ი. ჩარექოვი

ხუთ ივნისიდან მიიღებს კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე. გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.



**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.



შინაგან სნეულებათა **აქიმი**

ნიკ. ივ. შენგელია. მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.



**აქიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი.

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.



## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ქ. ქუთაისში მოვაჭრე ამროსი ხვინგია თავის სავაჭროში გაზ. „იმერეთის" ხელის მომწერლებს სთხოვს რომელსაც არა აქვთ პირველ იანვრიდან გაზეთის დასაკვეთი ფული შემოტანილი დაუყონებლივ შემოიტანონ წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.



## ახალი გამოგონება მეცნიერებაში

ერთადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან

# ახალი სითხე ქაკმენის ¨

მთავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის **კანტორა კლო ელურული ქუთაისში** საწყობი და ნარდი გაყიდვა **ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.**



# 1911 წლიდან ცაგერში

(ლეჩხუმის მაზრა) გახსნილია

# სამოქალაქო სასწავლებელი

მისაღები გამოცდა დაიწყება 25 მარიამობისთვიდან ამა 1913 წლისა. თხოვნები შეიძლება ადრე იქნას გამოგზავნილი ინსპექტორის სახელზე.



ქუთაისის სამასწავლებლო

# სემინარია,

რომელიც არსებობს დაბა ხონში, ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა დაიწყება მარიამობისთვის 25 რიცხვიდან.

**ამ რიცხვს მოხდება გასინჯვა შემომსვლელთა ჯანმრთელობის მხრით, და შემდეგ გამოცდიან ცოდნაში.**

თხოვნები საბუთებითურთ უნდა შემოიტანონ არა უგვიანეს თუთხმეტი მარიობისთვისა.



**გაზეთი „იმერეთი"** იყიდება მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან, იქვე მიიღება ხელისმოწერაც.


# პროტესტებზე.

ეს ერთი ხანია თანამედროველებმა მობილიზაცია გამოაცხადეს და თავის დროშის ქვეშ მოუწოდეს მართლმორწმუნეთ. ნიშნის მიცემისთანვე ამხედრდა „შეგნებული მუშათა" ჯარი და პროტესტებით შეიარაღებული იერიშებით მოდიან ჩვენზე. ნეტავი რა მოხდა? რამ შეანძრია და საომრათ დარაზმა თანამედროველების ჯარი? თუ იმათ საპროტესტო წერილებს დავუჯერეთ, თავის ზიზღსა და გულისწყრომას ლიტერატურულის ეთიკის შელახვის გამო აცხადებენ. მერე ვინ სჩადის ამას, ვისი გემოვნება შელახულა პრესაში ლანძღვა-გინებით და ცილისწამებით? ნუთუ ის ხალხი აუშფოთებია ასე, ცილისწამებას და ლიტერატურული ეთიკის დავიწყებას, ვისაც მთელი სიცოცხლე ცილისწამების, ლანძღვა-გინების და სხვა დამცირების წუმპეში უცურვია.. ნუთუ ისინი ამხედრდნენ ლიტერატურული ეთიკის დასაცავათ ბატონ-ყმანათ, რომელნიც ორ სტრიქონს ვერ დასწერენ ისე, რომ მოწინააღმდეგეს ერთი მგრათ არ შეურაცხყონ?


# წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი

(ქ უ თ ა ი ს ი)

ამით აცხადებს რომ: 1. გარდა უფროსი მოსამზადებელისა, მესამე და მეექვსე კლასებისა, ვაკანსია ყოველ კლასშია; 2. თხოვნების მიღება საჭირო საბუთებით შეიძლება ამა წლის 20 აგვისტომდი; 3. მისაღები გამოცდა და ხელმეორე გამოცდანი დაიწყება აგვისტოს 22 დან.; 4. მერვე კლასში მიღება იქნება ატესტატების კონკურსით. თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ დოკუმენტები და ნახევარი წლის სწავლის ფასი; უამისოთ თხოვნები არ განიხილება.



ქ. ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა.

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა, სახლი პარქაიასი.)



## თფილისის მეორე რვაკლასიანი

კომერციულ სასწავლებლის ადმინისტრაცია ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ განყოფილებაში და 1, 2, 3, 4, 5, და 6 კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირველ კლასში მიიღებიან | 10—12 წლ. | მეოთხეში | „ „ | 13—16 წლ. |
| მეორეში „ „ | 11—14 „ | მეხუთეში | „ „ | 14—17 „ |
| მესამეში „ „ | 12—15 „ | მეექვსეში | „ „ | 15—18 „ |

ადრესი: პანასევიჩის ქუჩა, № 38.

# დღიური.

ბულგარეთ-სერბიას შორის სრული შეთანხმება მოხდა და სერბიელებს კრეტოვო კაჩანი და იშტიბი. ხოლო ბულგარელებს სტრუმიცა ერგოთ.

— ავსტრიის ზოგიერთი ოფიციალური, გაზეთები სწერენ—ბუქარესტის ზავის ხელმეორეთ განხილვა აუცილებელიო.

— ბუდაპეშტში სტენოგრაფთა წარმომადგენლების საერთაშორისო კრება გაიხსნა.

— რუსეთი და ავსტრია იმ აზრის არიან, რომ კავალა ბულგარელებს დარჩეს.

— საფრანგეთმა განაცხადა—კავალა საბერძნეთს უნდა დარჩესო.

— ავსტრიის მეფემ სკუტარის არქიეპისკოპოზი ინახულა.

— იაპონიამ ვაშინგტონიში მესამეთ განაცხადა პროტესტი.

— იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა—იაპონელები საემიგრაციოთ ნაცვლათ ამერიკისა მანჯურიას წავიდენ.

— ვენეზილოსმა უცხოელ ჟურნალისტს უთხრა ბერძნები კავალას ვერავის დაუთმობენო.

— ბულგარეთმა რუმინიას 7500 ოთხ-კუთხი კილომეტრი ტერიტორია და 270 ათასი მცხოვრები დაუთმო.

— ოსმალეთმა გერმანიას აცნობა, ადრიანოპოლს ვერავის დავუთმობთო.

— ბუქრესტის სამშვიდობო კონფერენციის გადაწყვეტილება დიდმა სახელმწიფოებმა უნდა დაამტკიცონ.

— საბერძნეთის გემებს ოსმალეთის წყლებში შესვლის ნება მიეცა.

— იტალია მოითხოვს ეგეიის კუნძულების ბედის გადაწყვეტა მას მიენდოს.

— ცნობაა—ბულგარეთის მთავრობის განკარგულებით საიდუმლო ფონდის დახარჯვის გამო დანევი დააპატიმრესო.

— სომეხთა პატრიარქი არშარუნი სამსახურიდან გადადგა.

— სუფრაჟისტმა ქალებმა ლონდონში სენჯორჯის სასახლე დასწვეს.

— პეტერბურგში მუშებმა განიზრახეს დაზღვევის საკითხის განსახილველათ კრება მოიწვიონ.

— ადესიდან 100 ბერი თავის სამშობლო სოფლებში გაგზავნეს. ბერებს მკაცრათ ეპყრობიან.

---

ხალხი, რომელიც კალმის ნაწარმოების ღირსებას იმით აფასებს თუ რომელი სორტის გინებაა წერილში მოთავსებული, თავს იდებს პრესის სიწმინდის დასაცავათ. მერე ვინ შელახა პრესა, ვინ შემოიტანა შიგ ქუჩური კილო? ვინ სცდება თითქმის ყოველდღე ლიტერატურულ საზღვარს?

ვისაც ლიტერატურული გემო არ შერყვნია, ვისაც ავისა და კარგის გაგება კიდევ შეუძლია, მან ძალიან კარგათ იცის თუ ვინ გახადა პრესა ცილისწამებისა და ქუჩური ლანძღვის იარაღათ.

ვინ იქნება ისე გულუბრყვილო ჩვენში, რომ თქვენი გულწრფელობა დაიჯეროს. თქვენი ზიზღი გულისწყრომა და აშფოთება სულ სხვა მიზეზით არის გამოწვეული.

ერთ დროს ძლიერი და უძლეველი თქვენი სამეფო ინგრევა, ფეხ-ქვეშ ნიადაგი გეცლებათ, დღითი დღე ძალა გაკლდებათ და ესაა, რომ გაშფოთებთ, მოსვენებას არ გაძლევსთ და სულის სიმშვიდეს გიკარგავთ.

რომ თავიდანვე ყოველი სადაო საკითხის პროტესტებით გადაწყვეტას ცდილობდნენ და ცდილობენ ეს ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ასეთ უაზრო, უმგვანო და უსაფუძვლო ახმაურებას მათგანაც კი არ მოველოდით.

ჯერ თვით ასტეხეს განგაში განსვენებული ილიას მკვლელობის შესახებ, მერე ეს სხვას გადააბრალეს და პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რაც თვითვე ჩაიდინეს... ესე იგი თავის თავს უთვლიან ზიზღსა და გულისწყრომას.

ღმერთი რომ ვისმე დასჯას მოუნდომებს, გონებას წაართმევსო... ნუთუ არა მართლდება ეს ჩვენ მეპროტესტებზე?

## ალექსადრე ხახანაშვილი.

დღეს სრულდება ერთი წელიწადი მას შემდეგ, რაც სამარაში მძიმე ავათმყოფობას შემდეგ გადაიცვალა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ს. ხახანაშვილი. განსვენებულს დიდიხნის განმავლობაში ეჭირა კათედრა ქართული ლიტერატურის ისტორიისა. ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და ქართული ენისა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში.

ვინც დაახლოვებული იყო განსვენებულთან, მისი სიკვდილი მოულოდნელი არ იქნებოდა მისთვის. დიდიხანია, საშინელი სენი გულს უღრღნიდა და სწორეთ იმ დროს, როცა სავსებით აყვავდა და გაიფურჩქნა მისი მეცნიერული შემოქმედება, როცა მას შეეძლო თვისი ნაშრომის საუკეთესო შედევრები მოეცა, სენი იმდენათ მომძლავრდა, რომ თავი დაანებებია შრომას და ლოგინათ ჩაიგდო, ხოლო მარშან ოცდა რვა ივლისს სამარაში, სადაც გაემგზავრა ექიმების რჩევით, ამავე სენმა სრულიად მოსტაცა სიცოცხლე. დანაკლისი მით უფრო მწვავეა, რომ იგი ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო—ორმოცი—ორმოცდაორი წლის. მრავალი შრომა დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ რაც დასწერა ერთი კაცისგან ისიც დიდია:

ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით მის ნაწერებს. უბრალო სათაურების აღნუსხვაც კი ერთ გაზეთში არ მოთავსდება. ხახანაშვილის შრომის დასაფასებლათ და განსახილველათ ტომებია საჭირო. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ ოცი წლის განმავლობაში არ აღძრულა მეცნიერებაში არც ერთი კითხვა, რომელიც ქართველებს, მათ ისტორიას, ენას, სარწმუნოებას, ეკონომიურ ცხოვრებას, თუ სხვა რამეს შეეხებოდა, რომ მას მონაწილეობა არ მიეღო და ქართველებს არ გამოსარჩლებოდა.

სომეხთა მეცნიერების ცნობილი კამპანიის დროს იგი ერთადერთი იყო ქართულ შეხედულებას რომ იცავდა მეცნიერულის თვალსაზრისით.

გავიხსენოთ კამათი ნ. მართან, ხალათიანთან და სხ.

დღეს მისი დაკარგვის წლის თავზე ვიგონებთ რა მის დიდათ ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართველი ერისთვის, მის ღვაწლს ქართული ისტორიისა და ლიტერატურის მეცნიერულათ შესწავლის საქმეში, ჩვენ ვალათ ვრაცხთ, ვსთქვათ: პატივი და საერო თაყვანისცემა იმას, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს საკურთხეველზე სხვერპლათ მიიტანა.

## სამშვიდობო მოლაპარაკება.

დეპეშათა სააგენტომ ცნობა მოიტანა, რომ ბალკანეთის მეომარ სახელმწიფოთა შორის ზავი ჩამოვარდაო, რამდენათ მართალია ეს ცნობა და ან რა პირობებში ჩამოვარდა ზავი ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია და ამიტომ ერთხელ კიდევ გვსურს დავუბრუნდეთ ბალკანეთის ტრაგედიას და იმ პირობებს, რომელნიც ბულგარიასთან მეომარმა სახელმწიფოებმა წამოაყენეს. ყველამ უწყის, რომ ბალკანეთის ცდა—ზავზე მოლაპარაკება ნიშში მომხდარიყო, უნაყოფოთ ჩაიარა და მეომარმა სამეფოებმა სამშვიდობო მოლაპარაკება რუმინიის სატახტო ქალაქ ბუქარესტში გადაიტანეს. თავიდან ხსენებულ კონფერენციას პესიმისტური თვალით უცქეროდენ და მასზე ცოტა იმედებს ამყარებდენ. მიზეზი—მადაშლილი სერბია-საბერძნეთი იყო, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი; ამ ორ სახელმწიფოს მოთხოვნილებამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა; ვენიზელოსმა ამ, როგორც ახლა ეძახიან, „საბერძნეთის ბისმარკმა“ თავიდან როგორღაც ცოტა არ იყოს შეურიგებელი პოზიცია დაიკავა. საკითხის მთელი სიმწვავე კავალას გარშემო ტრიალობს, რომელიც ბულგარეთის ეკონომიურ ძალთა განვითარების ბაზისს შეადგენს, როგორც ნავსადგური ეგეის ზღვაზე, საიდანაც ბულგარეთს შეეძლება გაზიდოს და შემოზიდოს საქონელი, სავაჭრო დამოკიდებულება ექნეს უცხო სახელმწიფოებთან. არც პოლიტიკურ მნიშვნელობას არის მოკლებული კავალა ბულგარეთისთვის მაგრამ, როგორც ვსთქვით, იგი საწარმოო ძალთა განვითარებისთვის უფროა საჭირო. საბერძნეთმა კი მთელი ეგეის ზღვის ნაპირებთან ერთად კავალასაც წაუპოტინა ხელი. ვენიზელოსმა მეფე კონსტანტინესაგან დეპეში მიიღო—„ზვი უკ ავალოთ არ შეიძლებაო“. აი სწორეთ ეს იყო პესიმიზმის გამომწვევი მიზეზი. რაც შეეხება რუმინიას, თუმცა მისი პირველი მოთხოვნილებანი ცოტა არ იყოს გაფართოვდა და გაიზარდა, მაგრამ რუმინიასა და ბულგარეთს შორის შეთანხმება უკვე მოხდა, რადგან ბულგარეთი ისეთ პირობებში იყო ჩაყენებული სერბია-საბერძნეთის მხრით, რომ იგი ყოველგვარი დათმობის გზაზე უნდა წარსულიყო და რათაც უნდა დაჯდომოდა რუმინიას მაინც უნდა შერიგებოდა- ამნაირათ მშვიდობიანობის მთავარი ძარღვი საბერძნეთს უკავია ხელში, და თუმცა დიდია სერბიას მოთხოვნილებანიც, მაგრამ არც ისე, რომ შეთანხმება შეუძლებელი იყოს. ამ ჟამათ ყველაზე უფრო დამაფიქრებელი ოსმალეთის მიერ ბალკანეთის სამეფოებისადმი მიძღვნილი „კურიოზი“ ამოჩნდა. ახალგაზდა—ოსმალთა ცდა, რომ ანდრიანოპოლი აეღოთ და შეენარჩუნებიათ საკუთარი პრესტიჟის აღსადგენათ თანამემამულეთა თვალში, როგორღაც რეალობას უახლოვდება და საქმე თანდათან სერიოზულ სახეს იღებს. თუმცა ამ ერთი კვირის წინათ ამაზე ლაპარაკიც კი სასაცილოთ არ ყოფნიდათ „დრმაავტორიტეტიან“ დიპლომატებს, მაგრამ ახლა ძალიანაც მოსალოდნელია, რომ ოსმალთა „ხსენებული“ ხუმრობა ბულგარეთს ძვირათ დაუჯდეს და ზღვა სისხლით მოპოვებული ადრიანოპოლ კვლავ ოსმალეთს დაუბრუნდეს. ამის ნიშნები ბევრია და განსაკუთრებით ის, რომ ევროპის კონცერტი ხსენებული საკითხს უგულოთ ეპყრობა და ბალკანეთის სამეფოებს კი ფიქრათაც არ მოსდით აწი ბულგარეთისთვის თუნდა წვეთი სისხლი დაანთხიონ. ევროპას სურს „დიპლომატიური ჩაგონებით“ იმოქმედოს ოსმალეთზე, რომელსაც ეს უკანასკნელი სრულიადაც არ უფრთხის, რადგან ,,ნდობა დაკარგული“ ახალგაზდა ოსმალთა პარტია დიპლომატიურ ჩაგონებას კი არა აქტიურ ძალასაც მზათაა გაემკლავოს, რათა დაცემული პრესტიჟი აღადგინოს. რაც შეეხება უფრო ენერგიული ზომების მიღებას ოსმალეთის წინააღმდეგ, ესეც თითქმის შეუძლებელი ხდება, რადგან ევროპის სახელმწიფოთა შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. [illegible] სიტყვით მდგომარეობა კვლავ გაურკვევლობის ბურუსითაა მოცული და რომელ მხარეზე გადაიწევს ისტორიის სასწორი, ამას აწმყო სავსებით ვერ გაარკვევს. ადვილათ შეიძლება, რომ ბალკანეთის კავშირის მიერ გათელილმა ოსმალეთმა ამ ჟამათ ამავე კავშირის პოლიტიკური სიბეცის ნაყოფით ისარგებლოს და ევროპაში უფრო მეტი ადგილი და გავლენა შეინარჩუნოს, ვიდრე ეს დამარცხების პირველ დღეებში ეგონათ.

იმერი.

## ახალი ამბავი.

დღეს ნაწირვებს ქუთაისის საკათედრო ტაძარში ალექსანდრე ხახანაშვილის გადაცვალებიდან ერთი წლის თავზე წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილების თაოსნობით პანაშვიდს გადაიხდიან.

✦ ამ დღეებში თფილისის გაზეთებმა ცნობა გადმოგვცეს, რომ ტრამვაის დირექტორმა ე. ბელოიმ სამსახურს თავი დაანებაო. ახლა, როგორც ირკვევა ბ-ნ ბელოის თვით კი არ დაუნებებია თავი. იგი იძულებული გაუხდიათ სამსახურიდან გასულიყო. ხმები დადის, რომ ბელოის დირექტორების დროს ტრამვაის დიდძალი ფული—150 ათასი მანეთამდი გაფლანგულა. ამჟამათ თფილისში იმყოფება ბელგიის უსახელო საზოგადოების მთავარი გამგეობის ორთი რწმუნებული რომელნიც ამ დღეებში ჩამოვიდენ ბრიუსელიდან და რევიზიას შეუდგენ. დირექტორის მოვალეობა დროებით თანაშემწე ჩატახჯიანს დაეკისრა, რომელმაც უკვე ჩაიბარა საქმეები. ბელგიის საზოგადოების რევიზორებს პროკურატურისათვის ჯერჯერობით არაფერი უცნობებიათო. ხმებია—ამ საქმეში ერთ ცნობილ ნაფიც ვექილსა და პოლიციის მოხელესაც პასუხის გება შეხვდებათო.

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება საქმეებს გაარჩევს: 5, 10, 13, 21 და 23 აგვისტოს. სამოქალაქო განყოფილება კი-7, 14, 21 და 28 აგვისტოს.

✦ ქუთათაისის ოლქის სასამართლოს თავჯდომარე ფეოდოროვი 26 ივლისს გაგრას გაემგზავრა: გაგრიდან ბ-ნი ფეოდოროვი საზღვარ-გარეთ გაემგზავრება, სადაც ორ თვეს დარჩება.

✦ მიუხედავათ ათასგვარათ საყვედურებისა ქალაქის მამულებს აქამდი ვერ შეუჩერებიათ მცხოვრებთაგან რიონის

---

## ქალთა საკითხი სხვაგან და ჩვენში.

ქალთა საკითხი ვერ განისაზღვრება მარტო სქესობრივი ურთიერთობით, ვერ ეტევა ამ ვიწრო ფარგლებში.

მისი მოედანი ფართოა, ვით ცხოვრება, და შეიცავს, მაშასადამე, ეკონომიურსა და პოლიტიკურ მხარეებსაც.

ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურა და კრიტიკა იკვლევს უმთავრესათ სქესობრივი სიყვარულის საკითხს.

ცხადია, ამის უფლება აქვს: სიყვარული—საუკუნო და საყოველთაო საკითხია, რომელიც, ვინ იცის, მხოლოდ მაშინ გადაწყდება, როდესაც გადაწყდება თვით კაცობრიობის სიცოცხლის საკითხი.

მაგრამ არა ნაკლებ საჭიროა ეკონომიურისა და პოლიტიკური ურთიერთობის კვლევა, რადგან უამისოთ ვერცერთი საკითხი ვერ აიხსნება და ვერ გამოირკვევა სავსებით.

ამ მოედანზე კი, სამწუხაროთ, თითქმის არ მოგვეპოება მუშაკი.

ქალთა საკითხი გათ ოვებით სწყდებოდა ძველ დროს.

ძველებური პატრიარქალური ოჯახისთვის აუცილებელი იყო ქალი: კაცი მუშაობდა გარეთ, ქალი შინ. ამგვარი განაწილება შრომისა ქონდა საფუძვლათ ძველი ოჯახის სიმტკიცესა და შეურყევლობას.

ასეა ახლაც სოფლათ გლეხთა შორის.

ქალაქში კი სრულიად სხვა საფუძველი აქვს ახლო ოჯახს.

ამაც ბევრ ქალიშვილს ენატრება გათხოვება. ამ სურვილს ორი მიზანი უდევს სარჩულათ: ეკონომიური და სქესობრივი.

მაგრამ მამაკაცები, საუბედუროთ, ოჯახს გაურბიან.

ძნელია ქალაქში ცოლშვილის შენახვა: ყველაფერი საყიდელია.

უმთავრესი მიზეზი უცოლშვილობისა ეს არის.

მაგალითად, სტუდენტს არც შეძლება აქვს და არც სცალია იმისთვის, რომ საკუთარი ოჯახი იყოლიოს. თავი თუ გამოკვება, ვიდრე ეღირსებოდეს დიპლომს, ბედის მადლიერია.

წვრილი „ჩინოვნიკი“ სიღარიბისა გამო სულს ძლივსა ღაფავს და აბა, რა ეოჯახება!

დღიური მუშა რომ კიდევ უარეს მდგომარეობაშია.

შეძლებული კაცისთვის კი რა საჭიროა ცოლი და ოჯახი: თანამედროვე ცხოვრება ართობს და ათრობს მას მრავალგვარი სიამოვნებით, მაშინ როდესაც ოჯახი ავიწროებს, ზღუდავს მის თავაშვებულ თავისუფლებას.

ამიტომ ერიდება ოჯახს მამაკაცთა უმრავლესობა.

უფრო უბედურია ქალი. ის ბუნებით დედათ არის შექმნილი.

მისთვის გათხოვებას მარტო ეკონომიური მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ ზნეობრივიც: მას სურს იყოს დედა, ყავდეს შვილი.

მაგრამ იმავე დროს მისთვის აკრძალულია თავისუფალი სიყვარული.

საზოგადოება სდევნის თავისუფალ სიყვარულს.

ქალი, რომელიც არ ემორჩილება ძველს, ოფიციალურ „ზნეობას“, ვერ შოულობს ადგილს, „სამსახურს“, და ქვეყნისგან საცინლათ აგდებულია.

მხოლოდ ფარული გარყვნილება არ არის აკრძალული,

ეს ძველი რწმენაა, რომელიც ეთანხმებოდა ძველ დროს.

მამაპაპათა რწმენა-ჩვეულება, ტრადიცია, წინ ეღობება ახალ ცხოვრებას.

და აქ მარხია მთელი საშინელება, ტრაგიზმი, ქალთა საკითხისა.

ამ საკითხის სრული გადაჭრა და გადაწყვეტა მოითხოვს დიდ დროსა და ბევრი თაობის ბრძოლას.

უფრო ადვილია ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, თუმც აქაც ბევრი დაბრკოლებაა დასაძლევი.

ამ მხრით ზოგიერთ სახელმწიფოში კიდევაც გადაწყდა ეს საკითხი.

ავსტრალიის შტატებში და ჩრდილო-ამერიკის ზოგიერთ შტატში ქალი უკვე გათანასწორებულია პოლიტიკურათ.

და ორმოცდაათი წელიწადია, ინგლისელი ქალები რომ იბრძვიან იმავე უფლებისათვის.

კაი ხანია, მომწიფებულია ეს საკითხი.

ძველებური ოჯახი, კაი ხანია, რომ ჩაბარდა ისტორიას.

მუშა ქალები ქარხნებში მუშაობენ, კირით ცხოვრებენ.

ოჯახის კერაზე ცეცხლი აღარ არის გაჩაღებული.

ამასთანავე ქალის შრომა არ ფასობს ღირსეულათ.

ამიტომ იბრძვიან ასე თავგანწირულათ სუფრაჟისტი ქალები.

მათი მიზანია მოიპოონ პოლიტიკური საარჩევნო უფლება, რომ მოიხმარონ პარლამენტი თავისი ბედის გასაუმჯობესებლათ.

ისინი იბრძვიან თავის დაცვის, თავისი ტანმთელობისათვის დ კეთილდღეობისა.

მათს ტანმთელობასა დ კეთილდღეობას კი მოყვება შედეგათ მთელი ერის ტანმთელობა და კეთილდღეობაც.

ეს უკვე შეიგნეს ავსტრალიამ და ამერიკამ.

ინგლისი კი დღემდის ირყევა, ვერ ბედავს ქალთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ახლანდელი პირველმინისტრიც აგრეთვე უარყოფს ქალთა თანასწორობას, როგორც უარყოფდა დიდებული გლადსტონი.

რატომ?

იმპერიალიზმი აფერხებს საქმის კეთილათ დაბოლოებას.

ინგლისს სჭირდება უდიდესი ფლოტი, რომ მოიგერიოს თავიდან ფეხამდი იარაღში ჩამჯდარი ევროპა.

ეშინიათ, ქალებს რომ პოლიტიკური უფლება მივანიჭოთ, ვაი თუ მშვიდობიანობის დასამყარებლათ უარყონ შეიარაღება და ჩააგდონ ინგლისი განსაცთელში.

უმთავრესი მიზეზი შიშისა ქალთა გათანასწორების წინაშე ეს არის.

მართალია, ამას ხმა-მაღლა არ აღიარებენ და სულ სხვა მოსაზრებას ასახელებენ მიზეზათ, მაგრამ შეუძლებელია აქამდი არ ქონდესთ შეგნებული სარგებლობა ხსენებული რეფორმისა, რომელმაც ამდენი სარგებლობა მოუტანა ავსტრალიისა და ამერიკის სახელმწიფოებს.

იცოდენ ჩვენებურმა იმპერიალისტ მარქსისტებმა, რომ მათაც ასეთი სამარცხვინო საქმე ემართებათ და დაემართებათ ყოველთვის, ვიდრე ცენტრალიზაციის აღმსარებელი იქნებიან. და სწორეთ ამიტომ უარყოფენ ისინი, მაგალითად, ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას!

მაგრამ ინგლისი კი მოაწესრიგებს ამ საქმესაც, გადასჭრის, უეჭველია, სასურველათ ხსენებულ საკითხს და აი კიდევ თავიდან განსაცთელს, ე. ი. გადაგვარებას, რომელსაც უქადის ქალთა გაჭირვებული მდგომარეობა.

ისა სჯობია, ჩვენი გაჭირვება ვკითხოთ და ვიფიქროთ.

ინგლისელი ქალი თუ თვეში ოცდაათ მანეთსა სწუნობს, ჩვენში ხომ მამაკაცი ბედნიერათ სთვლის თავს როცა ოცმანეთიან ადგილს შოულობს.

ქალი კი ხშირათ სულ უსაქმოთ რჩება და აუტანელ ტვირთად უხდება ღარიბ ოჯახს.

და ნეტაი თუ იყოს ვინმე ქართველი ქალივით უმწეო და დაჩაგრული!

როდის გვეღირსება ქარხნები! როდის დაგვიდგება ის ნეტარი დრო, ჩვენი ქალებიც რომ შეიქნებიან დამოუკიდებელ მუშებათ!

მხოლოდ მაშინ გათავისუფლდება ქალის პიროვნება, მაშინ იგრძნობს ქალი თავს ადამიანათ, დამოუკიდებელ ინდივიდუმათ.

...ნძურება. ებრაელთა უბნიდან დიდძალ ...სა და სხვა სიბინძურეს ყრიან ყოველ-...რიონში..

✦ საკათედრო ტაძრის ახლოს, კაკი-...ლოშვილისა და ერისთავის სახლებში ...ართულია ყავახანა.. ისე დღე არ ..., რომ ხსენებული ყავახანიდან კარტის ...თამაშენი არ გამოცვივდენ და ჩხუბი ...მართონ, რაც გამვლელ-გამოვლელს ...ერ ავიწროვებს.

✦ „ზაკავკაზიის“ გუშინდელ ნუმერ-...ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკო-...ბის დირექტორის ნ. კრუპსკის წერი-... დაბეჭდილი. კრუპსკი ამ გაზეთის ...ესპონდენტს ეკამათება და თავის წე-...ში ამბობს ტყუილია, არ არსებობს ...წლის პლანი, უმაღლესი მთავრობი-...ან დამტკიცებულიო, არის მხოლოდ ...ნი 1881 წლისა კავკასიის მეფის ...დგილის მიერ მოწონებულიო.

✦ კავკასიის მეფის მოადგილე თავის ...ულიდან თფილისს სექტემბრის პირველ ...ცხვებში დაბრუნდება.

✦ მხატვარმა ზიაშვილმა, რომელიც ...ა თფილისში იმყოფება, წინადადება, ...ა წ. კ. საზოგადოების მთავარ გამ-...ბას—ჩემ მიერ დახატული ი. ჭავჭა-...ს სურათი შეიძინეო.

✦ წელს ქალაქ მონსში (ბელგია) უმა-...სი სასწავლებელი სამმა ქართველმა ...ჩულა: ვას. წერეთელმა, სამთო ინ-...ტუტის სამეტალურგიო განყოფილება ...ნერ მეტალლუგის ხარისხით, ივანე ...იამ და ირაკლი ციციშვილმა (წარჩი-...ით) საკომერციო სასწავლებელი ინ-...ერ კომერსანტის ხარისხით.

✦ სხვადასხვა მიზეზების გამო სამტ-...იაში საქორწინო კასა დაიხურა.

✦ ხელოსანთა წვრილი კრედიტის ...ნაგობის რევიზია ჯერ არ გათავებუ-..., იგი კიდევ რამდენიმე დღეს გაგ-...დება.

✦ ბათომის ქალაქის მოურავმა ი. ანდ-...ნიკაშვილმა თფ. სავაჭრო ბანკში მოკ-...ვადით 300 ათასი მან. აილო სეს-...

✦ ქართული სასოფლო-სამეურნეო ...ო თავის წევრებს გზავნის ქართლის ...ონის აგრონომის ნამუშევარის დასა-...იერებლად.

✦ საკოოპერაციო კურსები, რომე-...ც ქართული სასოფლო-სამეურნეო სა-...გადოების საკოოპერაციო სექციამ მო-...ო თფილისში 24 ივლისს, საღამოს ...რულდა.

✦ მიწისმოქმედობის მთავარმა სამარ-...ელომ გადასწყვიტა ბამბის გამოსაცდელ ...ნტაციებთან შკოლები დაარსოს მუ-...ბისთვის, რომელნიც კურსის დამთავრე-... შემდეგ კავკასიის სხვადასხვა რაიო-...ში გაიგზავნებიან ბამბის პლანტაციე-...ი მოსაწყობათ.

მოწერილი ამბავი.

**ახალ-სენაკი (ოდიში).** კვირას, 21 ივლისს, ადგილობრივი საკრებულოს დარბაზში წარმოადგინეს ყაზბეგის სამ-მოქმედებიანი დრამა „არსენა“. აფიშებში გამოცხადებული იყო, რომ წარმოდგენა მსახიობი ქალი ლოლუას ასულისა და ბარველის მონაწილეობით გაიმართება, მაგრამ ხსენებული მსახიობები თვალითაც არ გვჩვენებია. წარმოდგენამ ძალიან სუსტათ ჩაიარა, ხალხი კი ბლომათ დაესწრო.

# კეთილი საქმე.

გუშინწინ დამტკიცდა დიდს ნოტარიუსში პიპი—ნინო მაჭუტაძის ასულის, თავადის ნიკოლოზ (ნიკოლა) სიმონის ძის აბაშიძის მეუღლის შეწირულების საბუთი.

კნეინას აუსრულებია მისი მეუღლის განზრახვა და თავისი კეთილი სურვილი: მას ნაჩუქრობის ბარათით გადაუცია ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისათვის შორაპნის მაზრის სოფელს დიდიკაურს მდებარე უძრავ მოძრავი მამული, სახნავ-სათესი, ტყე, ვენახი, ექვს თვალიანი სახლი მარნეულობა და სხვა.

კნეინა პუპის მეუღლე ნიკოლა აბაშიძე ცნობილი იყო ჩვენს საზოგადოებაში, როგორც ჭკვიანი, გამოცდილი, უანგარო და კეთილი ზნეობის ქართველი. იგი იყო პირველი ქალაქის მოურავი ქუთაისში საქალაქო გამგეობის შემოღებისას; მერე საგლეხო „პრისუტვიეს“ წევრათ ქუთაისსა და თფილისში.

თვისი წინდახედულობით და სიმპატიური თვისებებით ყველასთვის საყვარელ კაცათ ითვლებოდა და მაშინდელ დროს არც ერთ საქმეს ქუთაისის საზოგადოება მის დაუკითხავათ არ ჩაებმოდა. კნეინა პუპე მეტათ კეთილშნეობიანი, პატიოსანი, ბეჯითი მეოჯახე, გამრჯელი დედა და ოჯახის მომჭირნე ადამიანათ ითვლებოდა. იგი ამ ჟამათ ღრმა მოხუცებულია, მაგრამ ადრინდელი ქართველ ქალის გამჭრიახობა, სამშობლო ლიტერატურის მოყვარეობა, თვისი ქვეყნის ავ-კარგზე ზრუნვა მკვირცხლი ახალგაზდასავით აინტერესებს.

სწორეთ ამით აიხსნება, რომ თვისი პატარა მამული მფლანგველი ხელიდან გადაურჩენია და საერო საუნჯისათვის გაუმზადებია.

კეთილი საქმეა და მისაბაძი მაგალითი.

# ორი სიტყვა

**დ. სარაჯიშვილის სტიპენდიებზე.**

გაზეთებში წავიკითხე, რომ განსვენებული დ. სარაჯიშვილის ნაანდერძევი მამუ-

მაგრამ ქარხნები ციდან კი არ ჩამო-...დება! შემცდარია ის აზრი, ვითომ ...ოელები მოვლენ, გაგვიმართავენ ...ნებს და გაგვაბედნიერებენ.

...ქარხნო წარმოება მხოლოდ მაშინ ...პოებს სასურველ წარმატებას, როდე-...ც ის იქნება ეროვნული შრომის შე-...დეგი.

...ჩვენვე უნდა შევქნათ ქარხნები ჩვენი-...საკუთარი შრომით.

...და ამისთვის კი საჭიროა სხვათა შო-...ს სამეურნეო, სატეხნიკო და პროფე-...ნალური ცოდნა.

...ამ ნიადაგზე ფართო მოედანი ეშლება ...ლ წინ ჩვენს ქალს.

...თბილი ჰაერითა და ნაყოფიერი ნია-...გით შემკულ საქართველოში არაფერი ...უნდა გაუჭირდეს არც ქალსა და არც ...ს.

...განა ქალს არ შეუძლია იცხოვროს ...ეშუმის კეთებით, ფუტკრის მოშენე-...ბით, მეხილეობით, მებოსტნეობით, მერ-...ეობითა და სხვ.

...სამწუხაროთ, არ მოგვეპოება ჯერ სა-...ებო პროფესიონალური და სამეურნეო ...ოლები.

...ამ მხრით, ეროვა რომ გვქონოდა, დიდ ...ბიჯს გადადგამდა წინ ჩვენი ცხოვრება.

...იმედია, შორს არ იქნება ეს დრო, ...მაგრამ დღესაც კი შეიძლება შევუწ-...ყოთ ხელი ხსენებული ტიპის შკოლების ...არსებას და გამრავლებას.

...რაც შეეხება საშვალო წრეებს, მათ-...თვის ქალთა საკითხი სიკვდილ-სიცოც-...ხლის საკითხია. აუარებელი ქალიშვილი ...ათავებს საშვალო სასწავლებელსა და ...მით მიეშურება უცხოეთში უმაღლესი ...ცოდნის შესაძენათ.

ამ წრეებიდან გამოდიან მასწავლებელნი, აქიმნი და სხ.

სასურველია, რომ ჩვენი ქალები მეტ მხნეობასა და გამბედაობას გამოიჩენდენ და სიშორესა და უდედმამობას არ შეუშინდებოდენ ხოლმე.

ზოგიერთი ქალიშვილი, სამწუხაროთ, ჭიპით არის მიკრული დედმამის ოჯახთან და დამოუკიდებელ ცხოვრებას უფრთხის.

საცოდავნი! ისინი, თუ არ გათხოვდენ' უბედურები იქნებიან; რადგან არ მოეპოებათ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო მომზადება და ხასიათი.

დიაღ! ქალთა საკითხის გადაჭრის პირველი საფეხური—პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა არის.

და უკვე გვაქვს საბუთი ღვიაროთ, რომ ქართველი ქალიც გამოდის ახალი ცხოვრების სარბიელზე, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიური და ზნეობრივი ძალა.

ძლიერია, სტიქიურია ეს მოძრაობა და მასთან ბრძოლა არა თუ მავნებელია, არამედ შეუძლებელიც არის.

პირიქით, უნდა ვეცადოთ და ხელი უნდა შევუწყოთ ამ ევოლიუციის დაჩქარებას და განვითარებას.

და ჩვენი ცხოვრება მხოლოდ მაშინ დაადგება ინტენსიური პროგრესსისა და წარმატების გზას, როდესაც ჩვენი დები მხარში ამოგვიდგებიან, როგორც სწორ უფლებიანი, დამოუკიდებელი და შეგნებული თანამშრომელნი.

**ისარი.**

ხომ მიყვარს და ხომ ვუყვარდი.
ხომ ვუყვარვარ, ხომ მიყვარდა?
მაშ ჩემია გულის ვარდი
და რათ მინდა სხვა, მისგარდა?

აწი მკრულოს ბედმა თუნდა,
თვით ცხოვრებამ შურით მწყევლოს,
ის ჩემია, ვინც მე მსურდა,
მას სიცოცხლე შემოევლოს!..

აღარ მინდა გესმით, არა
ცრემლთ ნაკადი, სევდა, ურვა,
რაც ვიტირე, ისიც კმარა
გულს სიცილი მოესურვა...

15 ივლისი.

**ბუჩა.**

ლი თფილისში 25,751 მან. გაუიყიდიათო და ამ თანხის სარგებლით თფ. წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობა სტიპენდიებს აარსებსო. კარგი საქმეა, ცხადია. მაგრამ, ჩემის აზრით, თუ შემცთარი არა ვარ, სტიპენდიების სახით ამ ჯილდოების გაცემის დროს, სასურველია შემდეგი გარემოება ვიქონიოთ სახეში:

მიუხედავათ წოდებისა, სარწმუნოებისა და სქესისა უპირატესობა უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულს პირს (ამასთან, ცხადია, ხელმოკლეს, ღარიბს) რა დარგის ცოდნისაც არ უნდა იყოს იგი, და უმაღლესი, საშვალო, თუ დაბალი სასწავლებლისა. თვარა ,,ჩვეულებრივი მამაკვდავნი'' დღესაც ბევრი სარგებლობენ სტიპენდიებით.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმათ, ვინც სარბიელით აირჩევს სამეურნეოსა და საზოგადოთ ტეხნიკური სწავლა-განათლების დარგს, ჩვენი ეკონომიურათ ალორძინება ამ ჟამათ ამ ორი დარგის წყალობით მოხერხდება და ყველა ქართველის ყურადღებაც აქეთ უნდა იყოს მიქცეული.

თქვენი არ ვიცი, და მე რომ გაზეთებში ჩემიანის გამარჯვებას ამოვიკითხავ, სიხარულის ცრემლები მერევა.

ამ რიგათ გამახარა ლ. გერსელიძისა მავრე ყიფიანის გამარჯვებამაც—პირველის ჟენევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტობამ და მეორესი გერმანიაში შევარდენობამ.

ამათ გარემოება ხელს უწყობდა ალბათ და მიზანსაც მიაწიეს... ხოლო რამდენია, რომ უსახსრობით დაქვეითებულია... აი, სწორეთ ამათი მოძებნაა საჭირო და მათი დახმარება...

**ვლ. ჯ. წერეთელი.**

# კვირიკე.

„შეგნებული“ მუშა უშველებელი, გძელი ფარატინით მაღაზიაში შევარდა, „ხაზეინი“ კარში გამოვარდა.

— აპა, საწერ-კალამი და მოით აფხანაკებო!

— აფხანიკო, რაა მაქ?

— პროტესტი!!

— მეიტა კალამი!

— მეიცა, ჯერ ცხვირი მეიხოცე, თვარა გამისვრი ქაღალდს... წერა იცი?

— არა მარა „თანამედროვე ქვეყანა“ ქე მომდის...

— მალადეც! უნდა იწერდე. შენ იცი წერა?

— არა, მარა „თანამედროვე ქვეყანა“ ქე მომდის...

მალადეც! შენ?

— არც მე, მარა „თანამედროვე ქვეყანა“ ქე მომდის...

— შენც მალადეც! აპა, ვინ იცი წერა?

— მე ვიცი!

— მალადეც! ეილე კალამი და მოაწერე ყველას მაგიორათ. აფხანიკებო, მომწონს თქვენი შეგნებულობა, რომ წერა-კითხვა არ იცით და ჩვენს ორგანოს მაინც იწერთ.

ამ ნაირათ ცხვება და ცხვება და კვლავაც ბევრი გამოცხვება ის პროტესტის ეპისტოლები, რომელიც ეს ერთი ხანი თამედროვეთა და მედროვეთა არღანში ისტამბება, უკაცრავათ—ორგანოში უნდა ვთქვა, მარა მაშინ უფრო საუკაცრაულ პასუხათ გამოსდგებოდა საქმე ორგანოს სახელწოდება ორგანიულათ არ შეეფერება ისეთ ორგანოს, რომელსაც ყოველი ნაწილი ორგანოსი დასახიჩრებული აქვს, სულიდან ხორცამდი, კივის ტკივილისაგან და ამ კივილით უნდა დაიამოს წყლულები; კივის, ყვირის და ამ ყვირილით უნდა სამართლიანი სიმართლის ხმა დაახრჩოს... და პროტესტები!

დიდება მოთმინებასა თქვენსა წამკვითხველნო ამა პროტესტებისა და შემთხვეველთ-კი ამ პროტესტებისა რო დიდი მოთმინება აქვთ და კვლავ დიდს ხანს გაჰყვებათ ეს თვისება, ამას არ უნდა ჩინი. . რა ქნან გულდაწყვეტილი არიან, ვერ მიუღიათ ჩინი და ,,თფილი ადგილები“. ლამის თვალის ჩინი დაუღამდეთ ამ თფილი ადგილების ძებნაში... ყველგან არიან ბანკებშიც, საბჭოებშიც, აქაცაქაც, ბურჟუებთან, დემაგოგებთან, რეაქციონერებთან... რა ქნან—კუჭის პროტესტი არ აძლევთ მოსვენებას ამ პროტესტანტებს... ღმერთმანი, თუ დამიჯერებთ, ამის გამოა სულ ეს პროტესტები.

**კვირიკე.**

# რუსეთი.

**მექარხნეები გაფიცვის შესახებ.** მოსკოვის რაიონის მექარხნეთა კრება მოხდა. კრებაში მონაწილეობა მიიღო 60 სამრეწველომ. იმსჯელეს გაფიცვების შესახებ. გაფიცვები ნამეტურ გავრცელებულა ლითონის დამამუშავებელ ქარხნებში. ამ ქარხნის გაფიცული მუშების რიცხვი 40 ათასამდი ასულა.

10 ივლისიდან გაფიცვები შემცირებულა. დღეს ამ ქარხნებში გაფიცულთა რიცხვი 15 ათასი ყოფილა. გაფიცვებს მხოლოდ ეკონომიური ხასიათი აქვთ. სხვადასხვა ქარხნის მუშების მოთხოვნილება ერთნაირი ხასიათის არის. თხოულობენ სამუშაო დღის შემცირებას, უქმი დღეების წინ ნაშვადღევის სამ საათზე გათავისუფლებას, წელიწადში ორი კვირით თავისუფლებას ჯამაგირის მიცემით და სხვა. თხოულობენ ამასთანავე ჯამაგირის 25—30 პროცენტით გადიდებას. ხსენებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მექარხნეებმა შეუძლებლათ სცნო, კრებაზე აღინიშნა, ლითონის დამამუშავებელ ქარხნების მუშათა გაფიცვა კიდევ უფრო გავრცელდებაო. ქარხნებს ამჟამათ დიდძალი საქონელი აქვთ შემოკვეთილი და ბევრი მუშა ხელიც სჭირია. კრებამ ყურადღება მიაქცია მუშათა ახალ კავშირს ,,სოლიდარობას'', რომელიც ცთილობს მექარხნეთა და მუშათა მოლაპარაკება თავისთავზე იდვას. კრებამ უარყო მუშათა კავშირის ასეთი სურვილი.

**პლევე და რაჩკოვსკი.** რუს. ვედ. დასტამბულია პლევესა და რაჩკოვსკის დამოკიდებულების შესახებ ცნობა. ეს უკანასკნელი დიდ როლს თამაშობდა საფრანგეთში. დიდი როლი ითამაშა მან რუსეთ-საფრანგეთს შორის კავშირის მოწყობაში. რაჩკოვსკის მოღვაწეობის ეს მხარე არ მოსწონდა პლევეს. პლევე მინისტრათ გახადა და მან რაჩკოვსკის წინააღმდეგ შემდეგი ამბავი გამოიყენა. ნიცაში ერთმა ქალმა გაიგო რომ ლიონში ცხოვრებს ვინმე ფილიპი ყოფილი მეყასბე. ფილიფის ვინაობის გაგებაში ყველა დაინტერესდა. მიანდომეს ფილიპისათვის ჩვენების ჩამორთმევა რაჩკოვსკის. რაჩკოვსკის ჩვენება ჩამოართვა და მოხსენება პეტერბურგს გაგზავნა. რაჩკოვსკის ფილიპი გამოყავდა საშიშ კაცათ. ფილიპის დამცველობა პლევემ იკისრა. ამ ნიადაგზე პლევესა და რაჩკოვსკის შორის უთანხმოება მოხდა. პლევემ რაჩკოვსკი პეტერბურგს მოიხმო და წინადადება მისცა, გინდ ციმბირში დასახლდი და გინდ ბრიუსელში იცხოვრეო. რაჩკოვსკიმ უკანასკნელი ირჩია. პლევეს არ უნდოდა რომ რაჩკოვსკის ის გავლენა, რაც საზღვარგარეთ ქონდა რუსეთშიც მოეპოებია. გენერალ გესეს შუამდგომლობით რაჩკოვსკის ვარშავაში ცხოვრების ნება მისცეს. აქ რაჩკოვსკიმ ერთ ფირმაში ადგილი მიიღო, საიდანაც წლიურათ 15 ათას მანეთს ღებულობდა. პლევემ იგრძნო რომ საფრთხე მოელოდა რაჩკოვსკისაგან. მან თავის დასაცავათ მცველი დაიყენა. პლევემ არ იცოდა, რომ ერთი მისი აგენტი აზეფი ხშირათ დადიოდა რაჩკოვსკისთან [illegible] პლევეს მოკვლის პლანს.

პლევეს მოკვდის შემდეგ რაჩკოვსკი პეტერბურგს დაბრუნდა [illegible] სამსახურში შევიდა. მან ტრეპოვის დროს პოლიციის დეპარტამენტის უფროსობა მიიღო განუსაზღვრელი უფლებით. ამ თანამდებობაზე დანიშვნაში რაჩკოვსკის ვიტეც დაეხმარა. რაჩკოვსკიმ ამ დროს შექმნა თავის ნებით მოსკოვსა კიევსა და პარიზში თავის საკუთარი ორგანიზაციები. ორგანიზაციების არსებობა რომელიც შექმნა რაჩკოვსკიმ და რომელმაც სხვადასხვა ქალაქებში მრავალი კაცი მოკლა, დღეს უკვე გამომჟღავნებულია. სტოლიპინის დანიშვნით რაჩკოვსკის მდგომარეობა შეიცვალა. მას მისცეს შინაურ საქმეთა სამინისტროში საპატიო ადგილი, ხოლო აქტიურ მოღვაწეობას კი ჩამოაცილეს.

**მრევლის საქმეთა რეფორმა.** სინოდმა შეიმუშავა და საკანონმდებლო დაწესებულებას გადასცა პროექტი მრევლის რეორგანიზაციის შესახებ. პროექტის ძალით მრევლის საქმე სამრევლო კრებამ უნდა განაგოს. აღმასრულებელ ორგანოთ ჩაითვლება სამრევლო საბჭო. სამრევლო კრებას უფლება ექნება საავათმყოფოების შესანახათ და თავშესაფარების შესანახათ ფული გადადვას.

# უცხოეთი.

**აბსოლუტიზმი ბოგემიაში.** ბოგემიის სამეფოში კონსტიტუცია გააუქმეს. განსაკუთრებული რესკრიპტით ფრანც იოსიბმა პრაგის სეიმი დაითხოვა. სეიმის ნაცვლად კომისია დანიშნა: კომისიაში რვა მოხელე ღებულობს მონაწილეობას. ამ კომისიას სათავეში უდგია ცნობილი რეაქციონერი გრაფი შენბერნი. ასეთი ცვლილება, რომელსაც ბოგემიის კულტურულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დეზორგანიზაცია შეაქვს, ავსტრიის კონსტიტუციის ძირითად წესებს არღვევს. სეიმის დათხოვისას ახალი არჩევნების დროს ნიშვნენ ყოველთვის, წელს ფრანც იოსების რესკიპტრში ასეთი არაფერი ყოფილა. ნაცვლად სეიმისა, სადაც იბრძოდენ პოლიტიკური პარტიები, გრაფ შენბერნი მიუძღვნეს მხარეს. არჩევნების უფლებაც წაართვეს და დეპუტატების ნაცვლად რვა მოხელე დაუნიშნეს. ახლა ბოგემიის მთავრობას სათავეში შენბერნი მოექცა. ასეთი ცვლილება დიდი უბედურებაა ბოგემიის ხალხისათვის. ეს უბედურება ჩეხთა და ავსტრიელების ხანგძლივ ბრძოლის შედეგია. ჩეხებს ახსოვთ ის დრო, როდესაც თავის სეიმისათვის პოლიტიკური უფლება რო მოეპოვებიათ, თავდადებულ ბრძოლას ეწეოდენ. 1871 წელს ფრანც იოსებმა თავის რესკრიპტრში აღნიშნა ამათი მათი ბრძოლათ. რესკრიპტზე სეიმმა ასე უპასუხა: სეიმი ერთგულათ დაიცავს თავის მიზანსა და მოვალეობას, რომ ბოგემიის საქმე არ განაგოს სხვა ხალხმა. ამასთანავე სეიმმა დაადგინა, არ მიიღოს მონაწილეობა ავსტრიის პარლამენტის არჩევნებში და ავსტრიის პარლამენტის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადოს. ეს იყო პირველი გაბედული იერიში პრაგის სეიმისა, ავსტრიას უნდოდა სეიმის პოლიტიკურათ დამხობა, უნდოდა დაემცირებია სეიმი და საოლქო დაწესებულებათ გადაექცია. ამ ნიადაგზე ავსტრიასა და ჩეხებს შორის გაიმართა გაცხარებული და ხანგრძლივი ბრძოლა. რათა სეიმის მოღვაწეობისათვის ხელი შეეშალათ ავსტრიელებმა ობსტრუქციას მიმართეს. დაითხოვეს სეიმი, ახალი არჩევნები დაინიშნა, მაგრამ ამაოთ: სამი წლის განმავლობაში ერთი რეზოლუციაც კი არ მიუღიათ. ამის შედეგი ჩეხთა სამეფოს საქმეთა არევ-დარევა იყო. სეიმის ფუნქციები რთულდებოდა. სეიმს ობსტრუქციების გამო ვერავითარი კანონი ვერ მიელო. სანამ ჩეხთა ბანკები მილიონობით აძლევდა სეიმს ფულს მანამ სეიმიც როგორც იყო მუშაობდა. ბანკებმა ფულის ძლევა შეუწყვიტეს და სახელმწიფოს ბიუჯეტიც დეფიციტით თავდება. ეს იყო მიზეზი ავსტრიის მთავრობის იმ განკარგულებისა, რომლის ძალითაც სეიმი გააუქმეს. გაილაშქრეს ფედერალიზმის იდეის წინააღმდეგ. ამავე დროს გამომჟღავნდა ავსტრიის პოლიტიკის სიკოტრე. ავსტრიის ცენტრალიზმის იდეა, რომელიც ავტონომიურ დაწესებულებათ ყლაპავს და რომელიც არ აძლევს მათ განვითარების ნებას, განადგურდა შვა გაიპო, ხორვატიაში ძალა დაატანეს, რომ სეიმის ნაცვლად პოლიტიკური კომისარიტი დაენიშნათ; ბოგემიაში ავსტრიის სახელმწიფოებრივ სიბრძნეს

მიღებულია:

რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)

ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.

✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

სავაჭრო სახლი

ი. გოკიელის შვილების

ქუთაისში.

| ბორჯომის წყალი | | თავის ჭურჭლით. | |
|---|---|---|---|
| | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი |
| 1/1 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 |
| 1/2 | 16 1/4 კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 |
| ნარზანი და ესენტ. ტუკი № 20 1/2 | 14 1/2 კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 |


შენბერნი წარმოადგენს; გალიციის სეიმში რუსინები და პოლონელები ერთმანეთს წეწვენ და სეიმს ორი წელიწადია არაფერი გაუკეთებია. უკეთეს მდგომარეობაში არც სხვა სეიმების საქმეებია. სახელმწიფოებრივი ცხოვრების მაჯის ცემა ყოველგან მიდუნდა და არავინ იცის, როდის დააღწევს თავს ცენტრალიზმს. ცუდვაი და შენბერნი დიდხანს არ ჭარჩებიან. ავსტრიის ხალხები მთავრობის აპეკუნობას გადაეჩვია.

## მშრომელი ხალხი.

**მუშათა პროფესიონალური მოძრაობა ავსტრიაში.** სეპარატისტების აგიტაციამ, მუშათა კავშირების გვარტომობით დაყოფის შესახებ, და ეკონომიურმა კრიზისმა, ავსტრიის მუშათა პროფესიონალურ კავშირების წევრთა რიცხვი ერთდროს შეამცირა. კავშირების წევრთა რიცხვი 1907 წელს ნახევარ მილიონს უდრიდა. 1910 წელს ეს რიცხვი 400565-ზე ჩამოვიდა. ამ წელს შემდეგ წევრთა რიცხვი ისევ მატულობს. 1912 წლის მეორე ნახევარში ზოგიერთ სამრეწველოებში მუშაობა შეჩერდა, სამუშაო დღეები შეამცირეს და სხვა. პროფესიონალურ კავშირების წევრთა რიცხვმაც იკლო. 1912 წლის პირველ ნახევარში პროფესიონალურ კავშირებში წევრთა რიცხვმა 30 ათასი კაცით მოიმატა; მეორე ნახევარში კი მომატების მაგივრათ 8,476 დააკლდა. საანგარიშო წელს ავსტრიის პროფესიონალურ კავშირებს სულ 428,363 წევრი ყავდა, აქიდან 377947 მამაკაცი და 50,416 ქალი იყო. წინა წელს კავშირების წევრთა რიცხვი 6 ათასით ნაკლები იყო. კავშირებში ავსტრიელების რიცხვი 322 ათასი იყო, ჩეხთა 70 ათასი, პოლონელთა 20 ათასი, იტალიელთა 9 ათასი, სლავაკთა 6 ათასი და რუსინთა 1 ათასი. წასულ წელს შედარებით სხვა წლებთან კავშირებს შემოსავალიც მეტი ქონიათ. შემოსვლიათ 9,969,831,71 კრონი.

**გაფიცვა ტრანსვაალში.** ტრანსვალის სამინისტრომ გამოაქვეყნა რაიდაში გაფიცვის შესახებ ოფიციალური მიწერ მოწერა. მუშებსა და მადნის პატრონთა შორის უთანხმოებას დღესაც აქვს ადგილი. მემადნეებმა რამდენიმეთ დაუთმეს მუშებს: მისცეს უფლება სამთო-სამადნო ტრედ-უნიონთა ორგანიზაციისა, აგრეთვე წელიწადში ათი დღით გათავისუფლებას შეპირდენ. ამ ათ დღეში ჯამაგირის ნახევარი მიეცემათ. მემადნეებმა შეიწყნარეს ამასთანავე რვა საათის სამუშაო დღე ნახევარი საათის დასვენებით. მუშებს ზოგიერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს. მემადნეების აზრით მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ბევრი ქარხნის დახურვას გამოიწვევს. ნამეტურ უნუგეშოა უცხოეთის მუშათა მდგომარეობა, ისინი ზოგან შიმშილობენ კიდეც.

## ლეჩხუმი.

**დერჩის საზოგადოება.** ამ საზოგადოების სამი სოფლის მცხოვრებთ: ტვიშის, ქორენიშის და ვანისას მოულოდნელი უბედურება დაატეხეს თავზე, აი რა საქმეა: ამ წლის 13 ივლისს განურჩევლათ წოდებისა, ყველა მამაკაცნი გარდა მცირე წლოვანებისა მიწვეული იყვნენ ლეჩხუმის განყოფილების მსაჯულისაგან, სადაც თავ. მეგრელსკის წარმომადგენელმა მოსთხოვა ყველას დაეცალათ ის ადგილები, რომელსაც იმავე სოფლის აზნაურობა სარგებლობდა ისე როგორც მამა-პაპათაგან დატოვებულს ქონებას, და გლეხები კი „კუპრებით", როგორც თავდახსნილნი ამ აზნაურებისაგან. როგორც დანამდვილებით გავიგეთ ის ზემოხსენებული ადგილები „შავ-ტალახა, ხვამლის ძირი" მეგრელსკის წარმომადგენლებს უსარგებლიათ მცხოვრებთა უცოდინარობით და დაუმიჯნავთ თავადის სახელზე. და ამ ნაირათ ერთხელ შეძენილსა და ნაყიდს ხელ მეორეთ აყიდვინებენ ხალხს?! ზემო-ხსენებული სოფლის მცხოვრებთათვის ამ ადგილებით სარგებლობა დღემდი არვის დაუშლია, სარგებლობდენ ისე როგორც თავის საკუთრებას. მიუხედავათ ამისა, ცხრა-ათი წლის უდავოთ გამიჯნული, ცხადია, იმას დარჩება ვისი სახელზეც დაიმიჯნა. უმიწაწყალოთ დარჩენილ მცხოვრებთ სრული გაბოგანება მოელით, ისეთ მდგომარეობაში ვარდებიან რომ ქათმის გაშვებაც არ შეეძლებათ, რომ გამიჯნულს ადგილში არ გადავიდენ. სად არის ხსნა? ასეთ უბედურ მდგომარეობაში მყოფი მცხოვრებნი ვერ გამორკვეულა—რა გზას დაადგენ, როგორ უშველონ თავს. როგორც გავიგეთ უმრავლესობის აზრი ასეთია, რომ სთხოვონ დეპუტატს გელოვანს შუამდგომლობა ამ საქმეში.

**კოდქვეშელი გლეხი.**

## ქვემო-იმერეთი.

**ს. ბზვანი.** ამ სოფლის შესახებ ბევრი იწერება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ისეთი ვერა ამოვიკითხეთ, რომ დაეხასიათებიათ ჩვენი სოფლის, როგორც თავად-აზნაურობისა ისე გლეხკაცობის შეგნებული თაობის საქციელი. მინდოდა ამეწერა მათი გულგრილობა საზოგადო საქმისადმი და აგრეთვე ის უმიზნო ლაზღანდარობა-ხეტიალი და დროს ტარება, რომელსაც ეწევა აქაური მოზარდი თაობა. საქმე ისაა, რომ ესინი მეტ დროს ღვინის სმას და ლატარია-ვეჩერების მოწყობაში ატარებენ. ამათ თითქოს დავიწყებიათ ადამიანის ნამდვილი მოვალეობა: არც შკოლა და არც სხვა რამ განმანათლებელი დაწესებულება საყურადღებოს არას წარმოადგენს. ამას წინათ ამ სოფელმა ამაღლების საზოგადოებასთან ერთად განიზრახა უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლის დაარსება, რის შესახებაც განაჩენიც დაადგინა და საყურადღებო თანხაც ადგილიანათ შესწირა მოსავალს შკოლას, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ეს განაჩენი დაირღვა. ჩემი აზრი და აგრეთვე სხვისი ბევრისაც ის იყო, რომ დაარსებულიყო აგრონომიული მცირე სასწავლებელი, რომელიც არც ბევრათ ძვირი დაჯდებოდა და უფრო მეტს ნაყოფსაც მოუტანდა საზოგადოებას. საჭიროა—შეგნებულმა თაობამ შთააგონოს ხალხს ასეთი შკოლის მნიშვნელობა და მისი დაარსების საჭიროება ხალხის საკეთილდღეოთ.

**ილიკო.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ. რედაქტორო!**

გთხოვთ ამ საპასუხო წერილს ადგილი დაუთმოთ გაზეთ „იმერეთში".

**კ. ლეკიშვილის საყურადღებოთ.**

საჭიროა ჯერ ჩვენ შორის შემდგარი თქვენ გაპარვას შემდეგ სამართალი, რომელიც შესდგებოდა ორი თქვენ მიერ და ერთი ჩემგან არჩეულ პირთაგან დაამტკიცოთ, 1. რომ იმათ არ ქონდათ უფლება საქმე უთქვენოთ გაერჩიათ; 2. რომ ვითომ მე ისინი მომეხმარენ და სიმართლეს აუხვიეს და მერე შეგეძლებათ ხელახალ სასამართლოზე მელაპარაკოთ. ეს რომ ასე უნდა მოხდეს და თქვენ კი არა გცოდნიათ, სხვას კითხეთ, და თუ ასე არ ინებებთ, თვით მკითხველი საზოგადოებაც დაინახავს, რომ თქვენთან ლაპარაკი აღარ ეღირება... რაც შეეხება თქვენს პროტესტს სამედიატორო სამართლის წინააღმდეგ, ასეთი თქვენი საქციელი ჭკუაში მყოფ ადამიანს სასაცილოთაც არ ეყოფა...

**სამსონ ფრუიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**

## გარეშე ცნობა.

**პ. ლორიას საყურადღებოთ.**

რომ ავაომყოფ ადამიანათ არ გცნობდე, მხოლოდ მაშინ მოგთხოვთ პასუხს, იმ თქვენს აბდა-უბდაზე, რომელიც გუშინდელ „იმერეთის" № 110-ის „გარეშე ცნობაში" იყო მოთავსებული. მკითხველებს კი, მიუთითებ სტ. ვლ. ემუხვარის წერილზე „მერცხალი" № 15 და, ჩემს განცხადებას „თემის" მე-15 №-ში.

**პრ. გუჯ.**

## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ. 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახ. ... 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.

**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. საღ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 11 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. დ.; სახ. 7 საათ. დილ.

**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 ს. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. დ.

**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. ... საათ. 9 წ. დილ.


ქ. ქუთაისში (ხობოროსთან

ა. თაბაგარის მაღაზიაში

20 ივლისიდან დანიშნულია

დიდი იაფი ვაჭრობა

ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშინები, გრამაფონები და მათი მოწყობილობა.

●●◘ ფასები ძლიერ დაკლებულია ◘●●

15 ივლისიდან 15 აგვისტომდი მიიღება ხელის მოწერა სიმონ ქვარიანის წიგნზე.

„შოთა რუსთველი და მისი პოემა"

წიგნი იქნება ჩვეულებრივი ფორმატის დაახლოებით 100 გვერდამდი, შოთა რუსთველის სურათით და სხვ., ეღირება ხელის მომწერთათვის მხოლოდ ერთი აბაზი, გასაყიდათ კი მეტი ფასი ექნება.

ამ წიგნის წმინდა შემოსავალი გადაიდება შოთა რუსთველის ფონდის გასამდიდრებლათ.

ვინც აგენტობას ისურვებს ვთხოვთ გვაცნობოს. ადრესი: ბადის ქუჩა ს. გერსამია.

გამომცემელი სერგო გერსამია.

აქციონერული საზოგადოება.

ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიისა

იზმაილოვის პროსპ. № 27

პარიზი 1900 ოქროს მედლებით ნიჟნ-ნოვგ. 1896.

კბილის ელექსირი

უაღრესი ღირსების.

როგორც საამო სუნელოვანი და მარგე ნივთიერებისაგან შეზავებული კბილის ელექსირი ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიისა გახდა ტუალეტის უსაჭიროეს საგნათ. კბილის პარაშოკი და კბილის პასტა (ნაყოფის წვენიდან შეზავებული კბილის გასაწმენდი წამალი) იყიდება ყველა კავკასიის სააფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.

„პატოკსან".

„პატოკსან" შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.

„პატოკსან" საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).

„პატოკსან" ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,

„პატოკსან" ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.

„პატოკსან" თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.

ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ."** თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში".

აბანო

ძმ. ყორყოლაძეებისა

მიმართეთ პირდაპირ 15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წყალი. შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. ფასი ხელმისაწდომი. ხონის(?) ... სილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათი საჟენის მანძილზეა. იქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი.

გ. გორდაძის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქში, უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მანების ქარხნის, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო

ქარხნებისგან

მიღებული რკინეული

საქონელი: კარის, ფანჯრის

და ღუმელის მოწყობილობანი;

სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის

მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,

ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,

ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.

ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.